ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ.თბილისი 19.02.2015

სხდომას ესწრებოდნენ:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
მაია მაღლაკელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი;
ლაშა მკურნალიძე - ა(ა)იპ - ასოციაცია ,,სკოლა - ოჯახი - საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი;
ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ინდირა ამირანაშვილი - დაწყებითი განათლების პროექტის (USAID/G-PriEd) დირექტორის მოადგილე;
თამარ ცირეკიძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მომსახურების დეპარტემენტის ხელმძღვანელი;
მანანა რატიანი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი;
პავლე თვალიაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი, შპს განათლებისა და მართვის გუნდის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ მახარაშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

თამარ შარიქაძე - შპს გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის დირექტორი;
მარიამ ჭიკაძე - შპს გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის წარმომადგენელი;
მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი) - ა(ა)იპ წმ.ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო მართლმადიდებლური საშუალო სკოლის რექტორი;
ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი - ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი;
თეა მახათაძე - ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორის მოადგილე;
ირა ბოჭორიძე - ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი;
ლია გელენიძე - შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნესის სკოლის აღმასრულებელი მენეჯერი;
თამაზ ნაცვლიშვილი - შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნესის სკოლის გენერალური მენეჯერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნოდარ ანგურიძე;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:38 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ ხანძთელის ეროვნულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. ა(ა)იპ - წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო მართლმადიდებლური საშუალო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კორესპოდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №1053863), რომლითაც დაწესებულება ითხოვდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 29 მარტის №128 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდენილი შუამდგომლობა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ,,ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 29 მარტის №128 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. შპს გრიგოლ ხანძთელის ეროვნულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო მართლმადიდებლური საშუალო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის ახალი წესრიგი.

1. ,,ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 29 მარტის №128 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი სკოლამ მიიღო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 ოქტომბრის №336 გადაწყვეტილებით, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით. რამდენიმე თვის შემდეგ, სკოლას საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 29 მარტის №128 გადაწყვეტილებით კვლავ მიენიჭა საგანამანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ საფეხურების მიხედვით ავტორიზაციის გავლა განაპირობა ავტორიზაციის შემჭიდროვებულმა ვადებმა და პარალელურად ავტორიზაციის სტანდარტში მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნების გაჩენამ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ დაწყებით და საბაზო საფეხურზე ავტორიზაციის გავლის შემდეგ საქმიანობა განაგრძო საშუალო საფეხურზეც. მან დაამატა, რომ ცენტრში მიღებული იურიდიული კონსულტაციებისა და ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, დაწესებულებას არ გასჩენია იმის ეჭვი, რომ კანონმდებლობა საფეხურის დამატების პრაქტიკას არ ითვალისწინებდა. დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა ორჯერ 4 თვის განმანვლობაში, რაც ადასტურებდა იმას, რომ რეალურად საშუალო საფეხურის მოთხოვნები მას დაკმაყოფილებული ჰქონდა.

ამასთან, აღნიშნული სკოლის საშუალო საფეხურის (XI კლასის) მოსწავლეებმა 2013-2014 სასწავლო წელს ელექტრონული რეგისტრაცია გაიარეს გამოცდების ეროვნულ ცენტრში და წარმატებით ჩააბარეს გამოსაშვები გამოცდების ნაწილი. ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში, სადაც ეროვნული ოლიმპიადის ფარგლებში 2013-2014 სასწავლო წელს გამოვლენილი გამარჯვებული მოსწავლე დასაჩუქრებული იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. რეიტინგით პირველ ხუთეულში მოხვდა ასევე ამავე დაწესებულების X კლასის მოსწავლე სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში და 2014 წლის „ეტალონის" გამარჯებული აღნიშნული დაწესებულების XII კლასის მოსწავლე გახდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ დღეისათვის ალავერდის ეპარქიასთან არსებულ სკოლაში საშუალო საფეხურზე 39 მოსწავლე ირიცხებოდა, რომელთა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა დგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ. მან დაამატა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება ითხოვდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 29

მარტის №128 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას და 2011 წლის 13 ოქტომბრის №336 გადაწყვეტილების მის განუყოფელ ნაწილად ცნობას.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, აღნიშნულთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ ცენტრის პოზიცია.

განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანს წარმოადგენდა შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ავტორიზაცია არის სტატუსის მოპოვების პროცედურა, შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას ენიჭება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. შესაბამისად, ავტორიზაციის წარმოების დროს შემოსული საავტორიზაციო განაცხადით დაწესებულება ირჩევს იმ საფეხურებს, რომლის განხორციელებასაც გეგმავს. ამდენად, ყოველი ახალი საავტორიზაციო განაცხადი არის არა საფეხურის დამატების ან ცვლილების, არამედ სტატუსის მოპოვების საფუძველი.

ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას 2011 წლის 13 ოქტომბრის №336 გადაწყვეტილებით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით. 2012 წელს სკოლამ დაიწყო ახალი საავტორიზაციო წარმოება, რომლის შედეგად, როგორც საავტორიზაციო განაცხადში ასახული ინფორმაციის, ასევე მის მიერ გადახდილი საავტორიზაციო საფასურის გათვალისწინებით, ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით ხელახლა მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.

შესაბამისად, ცენტრმა წარმოება ჩაატარა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. დაწესებულებას ნებისმიერ დროს შეუძლია ხელახლა წარმოადგინოს საავტორიზაციო განაცხადი, რომლითაც შეამცირებს/გაზრდის ან სხვაგვარად შეცვლის განსახორციელებელ საგანმანათლებლო პროგრამებს. წარმოება მიმდინარეობს დაწესებულების მოთხოვნით, მისგან მიღებული დოკუმენტაციის შესაბამისად. მსგავსი ტიპის განცხადებები ცენტრში არ წარმოადგენს განსაკუთრებულ საგამონაკლისო შემთხვევას და მიმდინარეობს ჩვეული წარმოების წესით.

განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სკოლა უსაფუძვლოდ ვარაუდობდა, რომ 2011 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება ავტომატურად აგრძელებდა მოქმედებას, მაშინ როდესაც 2012 წლის 29 მარტს, საბჭომ ხელახლა იმსჯელა დაწესებულებისათვის სტატუსის მინიჭების საკითხზე. ამასთან, დაწესებულებამ შემოიტანა არა საფეხურების დამატების შესახებ მოთხოვნა, არამედ წარმოადგინა ახალი საავტორიზაციო განაცხადი.

შესაბამისად, დაწესებულების კორესპონდენციის, არსებული პრობლემური ვითარებისა და სკოლაში არსებული მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც ამჟამად ირიცხებიან დამამთავრებელ კლასში და რომელთა სწავლის დასრულებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება არსებითად ზიანდება, საბჭომ შესაძლოა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება, 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმადაც, ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად გამოცხადდება 2011 წლის 13 ოქტომბრის №336

გადაწყვეტილება. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების თანახმად, დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს და ჰქონდა დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის განხორციელებისთვის აუცილებელი პროგრამული, მატერიალური და ადამიანიური რესურსები. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნდა საბჭოს, შესაბამისად საბჭოს შეძლო გაეთვალისწინებინა ან არ გაეთვალისწინებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დამატებით საბჭომ შესაძლებელია მიზანშეწონილად მიიჩნიოს, ცენტრისათვის მიმართვა, რომლის საფუძველზეც ცენტრი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის (სამივე საფეხურზე) დადგენის მიზნით სკოლაში განახორციელებს მონიტორინგს.

იმ შემთხვევაში, თუ საბჭო დააკმაყოფილებს დაწესებულების შუამდგომლობას, ლაშა მარგიშვილის მოსაზრებით ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში უნდა აისახოს შემდეგი განმარტებები: 1) 2011 წლის გადაწყვეტილების გამოცხადება 2012 წლის გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად, გულისხმობს, რომ დაწესებულების ავტორიზაციის 5 წლიანი ვადის ათვლა დაიწყება 2011 წლიდან, როდესაც დაწესებულებას მიენიჭა სტატუსი; 2) დაწესებულებისათვის განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა უნდა წარმოადგენდეს 2011 წლის გადაწყვეტილებით განსაზღვრული (50) და 2012 წლის გადაწყვეტილებით განსაზღვრული (260) რაოდენობების ჯამს - 310 მოსწავლეს. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს წევრებმაც.

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ აღნიშნული დაწესებულება აგზავნიდა თუ არა თვითშეფასების ყოველწლიურ ანგარიშს ცენტრში, რაზეც ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ დაგვიანების გამო, 2012 წლის თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა მოხდა მონიტორინგის სამსახურში, 2013 წლის თვითშეფასება დაწესებულებას ასევე არ წარმოუდგენია კანონით გათვალისწინებულ ვადებში. ავტორიზაციის სამმართველომ აღნიშნულის შესახებ აცნობა მონიტორინგის სამსახურს, რომელიც დაუკავშირდა დაწესებულებას და გამოაგზავნეს თვითშეფასების ანგარიში, სადაც სწავლების სამივე საფეხური იყო მითითებული. სწორედ აღნიშნული ფაქტი და დაწესებულების კორესპოდენცია გახდა საკითხის შესწავლის საფუძველი.

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, თვითშეფასების ანგარიშის დაგვიანებით წარმოდგენა იყო თუ არა დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების საფუძველი, რადგან, მისი განცხადებით, საბჭოს განუხილავს მსგავსი მონიტორინგის შედეგები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ თუ დაწესებულებათა უმრავლესობა აგვიანებდა თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენას, ხდებოდა მათთან დაკავშირება. გაფრთხილების მიუხედავად, თუ დაწესებულება კვლავ არ წარმოადგენდა ანგარიშს, ხდებოდა მონიტორინგის ვიზიტების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, საბჭოსათვის განემარტათ, რის საფუძველზე შეეძლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიეღო გადაწყვეტილება, რაზეც ლაშა მარგიშვილმა უპასუხა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2010 წლის 1 ოქტომბერს №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოები გადაწყვეტილებას იღებდნენ საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის შესწავლისა და ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სიტუაციის არსებითად განხილვის შედეგად ცხადი იყო, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებებისათვის დადგენილ ავტორიზაციის სტანდარტს. მან ასევე მიმართა ცენტრს ემუშავა იმ ტიპის მექანიზმის შექმნაზე, რომელიც სისტემას მსგავსი ხარვეზების თავიდან აცილების საშუალებას მისცემდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ, განაცხადა, რომ ყველა დაწესებულება კანონის წინაშე თანასწორი იყო და მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საბჭოს სხვა დაწესებულებებთან მიმართებითაც მოუწევდა აღნიშნული მიდგომის გამოყენება, რაზეც რეზო აფხაზავამ განაცხადა, რომ სისტემის პრობლემას წარმოადგენდა ერთიანი ბაზის არარსებობა, აღნიშნული საკითხი კი კიდევ ერთი არგუმენტს წარმოადგენდა ასეთი ტიპის ბაზის შექმნის აუცილებლობისა. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა ცენტრის წარმომადგენლებს, აღნიშნული საკითხი გამოეყენებინათ სამომავლოდ პროცესის გაუმჯობესებისათვის.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრში მიმდინარეობდა მუშაობა კანონმდებლობისა და პროცედურული ნაწილის დახვეწის კუთხით.

16:00 საათზე საბჭოზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელმძღვანელობდა იმ არსებული პრობლემური ვითარებისა და სკოლაში არსებული მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც ამჟამად ირიცხებოდნენ დამამთავრებელ კლასში და რომელთა სწავლის დასრულებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებაც იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ, საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 29 მარტის №128 გადაწყვეტილებაში შეიტანდა ცვლილებას, დაწესებულებისთვის ავტორიზაციის 5 წლიანი ვადით ათვლა დაიწყებოდა 2011 წლის 13 ოქტომბრიდან, როდესაც დაწესებულებას მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 29 მარტის №128 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა: მაია მაღლაკელიძემ, ლაშა მკურნალიძემ, თამარ ცირეკიძემ.

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას 2011 წლის 13 ოქტომბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულები სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 310-ით.

2. შპს გრიგოლ ხანძთელის ეროვნულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ, საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ. მან აღნიშნა, 2015 წლის 11 თებერვალს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტროდან შემოვიდა თბილისში, პეკინის №34/ალ. ყაზბეგის №2-ში მდებარე შპს გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის მოსწავლეთა მშობლების ერთობლივი განცხადება (ცენტრში რეგისტრაციის №101267), რომელიც ეხებოდა შპს გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის მიერ ავტორიზაციის სტანდარტების სავარაუდო დარღვევის ფაქტს. კერძოდ, სკოლაში შეწყვეტილი იყო სასწავლო პროცესი და სკოლა არ ასრულებდა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორმა 2015 წლის 12 თებერვალს გამოსცა №99 ბრძანება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც დაევალა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. მონიტორინგის ჯგუფმა დააფიქსირა, რომ დაწესებულებაში მართლაც არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. შემდეგ მოხდა სკოლის დამფუძნებელთან, მანანა მოხევიშვილთან დაკავშირება. მან აღნიშნა, რომ იყო შეუძლოდ და ვერ შეძლებდა სკოლაში მოსვლას, ასევე შედგა სატელეფონო კავშირი სკოლის დირექტორთან თამარ შარიქაძესთან, რომელმაც ასევე განაცხადა, რომ ვერ მოვიდოდა სკოლაში მეუღლის მძიმე ავადმყოფობის გამო. სკოლის მიერ იჯარით დაკავებულ ფართში იმყოფებოდა ფართის მესაკუთრე შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალოს" ქონების მენეჯერი - დავით კორძაია (პ/ნ 01017014214), რომელთან გასუბრების შედეგად გაირკვა, რომ 29 იანვრიდან სკოლა აღარ ფუნქციონირებდა და შენობის მესაკუთრე აპირებდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტას იჯარის გადაუხდელობის გამო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეტანილი განცხადება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ 2015 წლის 11 თებერვალს დაკმაყოფილებული იყო (გადაწყვეტილება N 882015071358-03). მონიტორინგის ჯგუფმა შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალოს" ქონების მენეჯერ დავით კორძაიასთან ერთად იმ ფაქტის დასადასტურებალად, რომ დაწესებულება აღნიშნულ ფართზე აღარ ფუნქციონირებდა შეადგინა ოქმი. ექსპერტმა აქვე განმარტა, რომ შპს „გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლა" (ს/კ: 211367028), იყო ფართის ქვემოიჯარე რომელიც წარმოადგენდა ავტორიზებულ დაწესებულებას, ხოლო ქვემეიჯარეს წარმოადგენდა შპს „გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლა 1" (ს/კ: 404994271), რომელსაც თავის მხრივ, იჯარა გაფორმებული ჰქონდა შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალოსთან".

რადგან გაუქმდა იჯარის ხელშეკრულება შპს „გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლა 1“ - სა და შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალოს“ შორის, 2015 წლის 16 თებერვლის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ზემოაღნიშნული ფართის მოიჯარე გახდა შპს „გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლა“.

საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, დღეის მდგომარეობით როგორ იყო შენობა დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რაზეც ნოდარ ანგურიძემ უპასუხა, რომ საჯარო რეესტრში შეტანილი იყო განცხადება საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი დაუკავშირდა ფართის მფლობელის იურიდიულ წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ მეიჯარე წყვეტდა ავტორიზებულ სკოლასთან ხელშეკრულებას. ექსპერტმა დაამატა, რომ შენობასთან დაკავშირებული საკითხის გარდა, ირღვეოდა ავტორიზაციის სტანდარტები და მოსწავლეთა უფლებები, რადგან მათ ამ პერიოდში არ მიეცათ განათლების მიღების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, რეზო აფხაზავამ განაცხადა, რომ მხოლოდ შენობის საკითხის გათვალისწინებითაც დაწესებულება არღვევდა ავტორიზაციის სტანდარტს.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა დაწესებულების დამფუძნებელი ინფორმირებული საბჭოს სხდომის შესახებ, რაზეც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დამფუძნებელი ინფორმირებული იყო, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ ახერხებდა დასწრებას.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა პოზიციის დაფიქსირება, რაზეც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ფართთან დაკავშირებული პრობლემების შექმნის მიზეზი იჯარით გათვალისწინებული თანხის პერიოდული დაგვიანებებით გადახდა წარმოადგენდა. ამჟამად სკოლას სურდა საქმიანობის გაგრძელება სხვა მისამართზე, თუმცა შენობა ჯერ მოძიებული არ ჰქონდა და მოსწავლეთა უმრავლესობა უკვე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში იყო გადანაწილებული.

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ფართთან დაკავშირებული საკითხის გადაჭრა მოხდებოდა თუ არა 15 დღის ვადაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასახელებულ ვადაში ვითარება არსებითად არ შეიცვლებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ ხანძთელის ეროვნულ სკოლას (ს/კ: 211367028) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

3. ა(ა)იპ - წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო მართლმადიდებლური საშუალო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ, საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექპერტმა ნოდარ ანგურიძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია მოიპოვა შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი იოანე პეტრიწის ქ. №1ა. აღნიშნულ მისამართზე სკოლის სასწავლო კორპუსს წარმოადგენდა ერთი სამსართულიანი შენობა. სკოლამ იგივე მისამართზე დამატებით ააშენა ერთი ოთხსართულიანი შენობა. რომელიც ექსპლუატაციაში მიღებულია მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, სადაც საერთო ფართი მითითებული იყო 1667,3 კვ.მ, თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერში ეს ფართი არ ფიქსირდებოდა და იქ კვლავ შენობის აშენებამდე მითითებული საერთო ფართი იყო დაფიქსირებული. საჯარო რეესტრის ამონაწერებში აღნიშნული იყო, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებობდა 7 შენობა-ნაგებობება, რომელთაგანაც პირველი სამი შენობა-ნაგებობის საერთო ფართი იყო 1938,75კვ.მ. შენობებს სკოლა ფლობდა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისგან თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლამ ავტორიზაცია 2012 წელს მიიღო და დაიწყო ახალი კორპუსის მშენებლობა, რადგან ძველ შენობაში ვეღარ თავსდებოდნენ. როდესაც დაისვა კონტინგენტის განსაზღვრის საკითხი, მათ შეეძლოთ 600 ბავშვის მიღება, თუმცა საბოლოოდ შეჯერდნენ 550-ზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის პოლიტიკის მიხედვით, მოსწავლეების უმცროს დედმამიშვილებს ავტომატურ რეჟიმში იღებდნენ, რის გამოც 36 ადგილით გადააჭარბეს დადგენილ ზღვრულ რაოდენობას და საჭირო გახდა ახალი კორპუსის აშენება.

რეესტრში არსებულ არასრულ მონაცემებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ეს ფაქტი ტექნიკური ხარვეზი იყო, რომელიც მერიის სამსახურს უკავშირდებოდა და ამ ეტაპზე უკვე გამოსწორებული იყო, რის დასადასტურებლადაც მან წარმოადგინა ახალი ამონაწერი.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ძველი ამონაწერის მიხედვით, შენობის ფართი შეადგენდა 1938.75 კვ. მ.-ს. დაკმაყოფილებული იყო ყველა სტანდარტი და დაწესებულება ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ აღნიშნა, რომ სკოლის ვებგვერდი გამართულად მუშაობდა და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როდის მიიღეს 36 ბავშვი და რატომ დროულად არ განაცხადეს კონტინგენტის გაზრდის საჭიროების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ განაცხადი დეკემბერში ჰქონდათ შემოტანილი, რადგან მანამდე გასარკვევი იყო გარკვეული საკითხები.

საბჭოს წევრმა, ინდირა ამირანაშვილმა იკითხა, თუ ჰქონდა სკოლას მიღებული დაფინანსება ბოლოს დამატებული ბავშვების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაფინანსება მიიღეს და პირველ კლასში 18-19 მოსწავლე ჰყავდათ.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა, დაწესებულებას კითხვით მიმართა, თუ რატომ ახორციელებდნენ სამეწარმეო საქმიანობას, როდესაც სტატუსი - ააიპ - ჰქონდათ და თუ ეწეოდნენ რაიმე სხვა სახის მოღვაწეობას, რომელიც სცილდებოდა თანხების გადახდასთან დაკავშირებულ საქმიანობას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მსგავს საქმიანობას არ ეწეოდნენ, ხოლო მიღებული თანხა ხმარდებოდა კორპუსის მშენებლობას. მან აღნიშნა, რომ სწავლის გადასახადი ოჯახისთვის შეადგენდა თვიურ 40 ლარს.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს რეკომენდაცია გაუწია, რომ დაწესებულების იურიდიული სტატუსი შეეცვალათ და გადაეკეთებინათ როგორც - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სკოლაში არსებული კომპიუტერებისა და მერხების რაოდენობა იყო თუ არა საკმარისი მეტი მოსწავლის მომსახურებისთვის. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 42 კომპიუტერი და მერხების რაოდენობაც იძლეოდა კონტინგენტის გაზრდის საშუალებას. დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ადგილის რაოდენობა გაეზარდა 700 მოსწავლემდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო მართლმადიდებლური საშუალო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ,,ბ'' ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (ს/კ: 205241148) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700-ით.

4. შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა ნოდარ ანგურიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ 2013 წლის 26 ივლისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლაში. ვიზიტის შედეგად შესწავლილ იქნა მატერიალური და ადამიანური რესურსი და მათი შესაბამისობა სტანდარტებთან. დაწესებულება ფლობდა შენობასა და ნაკვეთს თბილისში მისამართზე - შირაქის ქუჩა #20. ვიზუალური დათვალიერებით 19 საკლასო ოთახსა და საწყობში არსებობდა 572 ერთადგილიანი მერხი, 14 ერთადგილიანი მერხის კარკასი და 76 ორადგილიანი მერხი. ასევე, შესაბამისი რაოდენობის სკამები. სკოლამ წარმოადგინა 80 ერთადგილიანი და 16 ორადგილიანი მერხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დანარჩენი ინვენტარი სსიპ - ქალაქ თბილისის #111 საჯარო სკოლის ბალანსზე არსებულ ფასეულობებს წარმოადგენდა. სკოლამ ამ ფასეულობათა გადმოცემის მიზნით მიმართა ისან–სამგორის რესურსცენტრსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს, ამ წერილის საფუძველზე, ვიზიტის პერიოდში, რესურსცენტრის დავალებით, სკოლაში აუდიტს ახორციელებდა აუდიტორული ფირმა - „ხვამლი 777". ვიზუალური დათვალიერებით დაფიქსირდა 28 კომპიუტერი, მათგან ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დასტურდებოდა 11 კომპიუტერზე.

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ იკითხა, რა იყო დაწესებულებაში აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზანი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რესურსცენტრის მითითებით ქონების აღწერა წარმოადგენდა, თუმცა საერთო მდგომარეობისათვის შედეგი არ მოუტანია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნესის სკოლის მოძრავი ქონების ფლობის საკითხი უკვე მრავალჯერ იყო განხილული საბჭოზე. მან საბჭოს წევრებს მიაწოდა ბოლო ინფორმაცია ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ქონების საერთო ღირებულება წარმოადგენდა 31865 ლარსა და 50 თეთრს. დაწესებულება მზად იყო, შეეძინა აღნიშნული ინვენტარი სახელმწიფოსაგან და მიიღო თანხმობა ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან. ამჟამად დაწესებულება ელოდებოდა აღნიშნული საკითხის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიციას.

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, საკითხის გასარკვევად რატომ არ მიმართა სასამართლოს და აღნიშნა,

რომ მსგავსი რეკომენდაცია მათ მიიღეს ბოლო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრი - ლაშა მკურნალიძისაგან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ სასამართლოსათვის მსგავსი საკითხის გარკვევის მიზნით მიმართული ჰქონდათ, თუმცა პროცესი დროში ჭიანურდებოდა და ამ ქმედებას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

საბჭოს წევრი, ინდირა ამირანაშვილი დაინტერესდა იყენებდა თუ არა დაწესებულება აღნიშნულ ქონებას სასწავლო მიზნების განხორციელებისათვის და ჰყავდა თუ არა მოდავე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოძრავი ქონება გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისათვის და მოდავე არ ჰყოლიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, რეზო აფხაზავამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ სურდათ მოსწავლეთა კონტინგენტის 595-მდე გაზრდა.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი კომპიუტერის ფლობა უდასტურდებოდა დოკუმენტურად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მათ მფლობელობაში იყო 28 კომპიუტერი, მათგან ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დასტურდებოდა 11 კომპიუტერზე. ვიზიტის შემდეგ კი შეიძინეს დამატებით 8 კომპიუტერი.

საბჭოს წევრი, ლაშა მკურნალიძე, დაინტერესდა, რას აპირებდნენ სკოლის წარმომადგენლები იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოძრავი ქონების გადაცემა მათთვის არ მოხდებოდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლება აღნიშნეს, რომ ამ შემთხვევაში ქონებას შეიძენდნენ სახელმწიფოსაგან.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა კონტინგენტის განსაზღვრისათვის აუცილებელი იყო მოძრავის ქონების ფლობის დადასტურება შესაბამისი დოკუმენტაციით.

საბჭოს თავმჯდომარემ, რეზო აფხავაზავამ აღნიშნა, რომ მდგომარეობა გარკვეული იყო, მხოლოდ პროცედურული საკითხები იყო მოსაგვარებელი, რომელიც დროში გაიწელა.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალიაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, აუცილებელი იყო ქონების (ამ აშემთხვევაში კომპიუტერების) ფლობის დადასტურება დოკუმენტურად.

საბჭოს თამჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ლაშა მკურნალიძე, პავლე თვალიაშვილი.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ,,ბ'' ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლას (ს/კ: 208142339) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 595-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, რომ მოძრავი ქონების გადაცემის საკითხთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ეცნობებინა ცენტრისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:06 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
მაია მაღლაკელიძე